საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი

2024 წლის ანგარიში



1. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გრანტის ფარგლებში ზუგდიდის დედოფლისეულ სასახლეში დასრულდა რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, რომელიც სამუზეუმო ფონდების კეთილმოწყობას, რესტავრაციას და თანამედროვე სისტემებით აღჭურვას ითვალისწინებდა. რესტავრაციის პროცესში ფონდსაცავების კედლებიდან მოიხსნა საბჭოთა პერიოდის ბათქაში და საღებავი, ამ დროს გამოვლინდა სასახლის ისტორიისათვის საინტერესო სამშენებლო ფენები (მათ შორის ბუხრები, ნიშები, შენობის ძველი მოპირკეთების ფრაგმენტები), ამიტომ რესტავრატორებთან კონსულტაციების შემდეგ აღნიშნული ფენები სათანადოდ დამუშავდა და კონსერვაცია ჩაუტარდა, 2000-იან წლებში ჩადგმული მეტალოპლასმასის ყველა ფანჯარა შეიცვალა სასახლისათვის შესაბამისი ხის ფანჯრებით. საგანძურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ბროლ-ფაიფურისა და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე ფერწერის ფონდსაცავები აღიჭურვა სიგნალიზაციის, ვიდეომონიტორინგისა და ცეცხლის ქრობის თანამედროვე სისტემებით. ყველა საცავში საბჭოთა პერიოდის ლინონიუმი შეიცვალა მაღალი ხარისხის ხის იატაკებით, ზუგდიდის დადიანების სასახლეებისათვის აშშ-ის საელჩოს სარეაბილიტაციო გრანტი ხელოვნების სასახლემ მოამზადა, პროცესს პატრონაჟს კულტურის სამინისტრო უწევს.

2. 17 იანვარს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა მარიამ ოდიშვილის პეროსნალური გამოფენა - ‘‘აირჩიე მიმართულება’’. გამოფენა აერთიანებს სხვადასხვა პერიოდში შესრულებულ ნამუშევრებს. ნამუშევრებში არსებული ვიზუალები და სიმბოლოები პიროვნების ცხოვრებისეულ არჩევანს, გადაწვეტილების მიღების პროცესს, ინტროსპექციას, მოქმედებასა და სულიერ მისწრაფებებს უკავშირდება.ნამუშევრები შესრულებულია სხვადასხვა მასალით, ასევე გამოყენებულია ამრეკლავი

ობიექტები, როგორც ინტროსპექცია და თამაში რეალობასა და ილუზიას შორის, ცხოვრების არაპროგნოზირებადი ბუნება, მეტაფორული გზაჯვარედინები, ახალ არჩევანსა და სამყაროს ახალი პერსპექტივების აღმოჩენასთანნა კავშირში.



3. 2 თებერვალს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა ირაკლი კუნჭულიას პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ მხატვრის 42 ნამუშევარი, რომელიც სხვადასხვა სერიიდან იყო ამორჩეული.

4. XIX საუკუნის ეს ფერადი ლითოგრაფია 1 წლის წინ ზუგდიდის დადიანების სასახლიდან უმძიმეს მდგომარეობაში იქნა გადმოტანილი ხელოვნების სასახლეში. ათეულობით წლები იმდენად შეუსაბამო პირობებში ინახებოდა რომ უნიკალური ნივთი ფაქტიურად განადგურდა.

ხელოვნების სასახლის რესტავრატორებმა: ნათია ლომიამ, როზი კასრაძემ, ლია ახალაძემ და არტემ ანტანოსმა წარმოუდგენელი სამუშაო ჩაატარეს და მკვდარი ნივთი ფაქტიურად ფერფლიდან აღადგინეს. აღსანიშნავია, რომ დადიანების სასახლეში 1 წლის წინ კულტურის სამინისტროს პატრონაჟით და აშშ-საელჩოს მხარდაჭერით დადიანების სასახლეებში უპრეცედენტო მასშტაბის სარესტავრაციო პროცესი დაიწყო. ნახატის რესტავრაციაც ამ პროექტის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგია. მუზემის დირექტორს დავით ოყუჯავას და ფონდის მცველ ფერიდე აფაქიძეს დიდი მადლობა იმ ძალისხმევისათვის რომელსაც არ იშურებენ ამ ნივთების გადასარჩენად.

5. 13 თებერვალს ხელოვნების სასახლის მუდმივ ექსპოზიციაში, კერძოდ სამეჯლისო დარბაზში დიდი ქართველი მხატვრის ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრები გამოიფინა. სოხუმში სულ ახლახან დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, როცა ხანძარს მხატვრის ნამუშევრების უმეტესობა შეეწირა სიმბოლურია შერვაშიძის ნახატების ხელოვნების სასახლეში ექსპონირება, ამით გვსურს პატივი მივაგოთ დიდი ქართველი მხატვრის ხსოვნას, შემოქმედებასა და ანდერძს, ანდერძს რომლის ძალითაც მან თავისი მემკვიდრეობა საქართველოს გადასცა

6. ხელოვნების სასახლეს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა გიორგი შალუტაშვილმა შემოწირულების სახით ძვირფასი საჩუქარი გადმოსცა. კოლექცია განსაკუთრებულია სასახლისთვის იმ ხმრივ, რომ იგი მუზეუმის ყოფილი დირექტორის ალექსანდრე შალუტაშვილის პირად არქივს წარმოადგენს. აერთიანებს მხატვრების გიგლა ფირცხალავას, გურამ დოლიძისა და მიხეილ ვადბოლსკის 100-მდე ნამუშევარს - კარიკატურას, შარჟს, ფოტომასალასა და სხვა. მიერიდან ჩვენს ფონდებში დაიდებს ბინას და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ზემოთ ჩამოთვლილი მხატვრების მიერ შექმნილი ცნობილი ადამიანების შარჟები და კარიკატურები. აქ ნახავთ გოგი გეგეჭკორის, ზინაიდა კვერენჩხილაძის, სოფიკო ჭიაურელის, მედეა ჩახავას, ბუხუტი და სერგო ზაქარიაძის, კარლო საკანდელიძის, გივი ბერიკაშვილის, რამაზ ჩხიკვაძისა და სხვათა სახეებს. შარჟები შექმნილია სპექტაკლისთვის „ჭინჭრაქა“ და ჟურნალისთვის „ხელოვნება“

7. 19 თებერვალს ხელოვნების სასახლეში ჩატარდა რიგით მეორე სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა 15 მომხსენებელი.

8.20 თებერვალს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა ალჟბეტა იუნგროვას პერსონალური ფოტოგამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ ჩეხური ტრადიციების ამსახველი ფოტომასალა. ღონისძიება მომზადდა “ჩეხეთის ცენტრის” ინიციატივით. (ჩეხეთის ცენტრი გალხავთ ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაარსებული კულტურის ინსტიტუტი.

9. თქვენს წინაშეა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე - დადიანის უნიკალური ნივთი: მისი პირადი ნესესერი და დედოფლისეული სავარცხლები. ეს ნესესერი 1 წლის წინ ზუგდიდის დადიანების სასახლიდან უმძიმეს მდგომარეობაში იქნა წამოღებული; თითქმის მთლიანად განძარცული, დანესტიანებული, დეტალებ დაკარგული... ნესესერის ტყავის ზედაპირს და ლითონის საჭიდურებს აქა იქ მკრთალად ეტყობოდა დაკარგული ორნამენტების კონტურები, საბედნიეროდ ეს ორნამენტები და დამღები შემორჩენილი იყო ნესესერის შიგნით დაცულ სავარცხლებზეც. ამ ისტორიული ნივთების და შემორჩენილი კონტურების წყალობით ჩვენმა რესტავრატორმა და იუველირმა გიორგი ეთერიამ წარმოუდგენელი სამუშაო ჩაატა. ვერცხლისაგან დაამზადა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის ისეთივე ინიციალი როგორიც ნესესერში შესანახად განკუთვნილ ნივთებზე იყო (ერთი სავარცხელი პრინცესა სალომე დადიანი-მიურატის კუთვნილება ყოფილა). ეს ლამაზი არტეფაქტი მთელი თავისი ბრწყინვალებით დაუბრუნდა ზუგდიდის სასახლეს. ამერიკის შეერთებული შტატების გრანტის ფარგლებში განხორციელდა ამ ძვირფასი ისტორიული რელიქვიების რესტავრაცია და გადარჩენა.

10. 28 თებერვალს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა ბაჩანა ხალვაშის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით - "ორი ამბავი". გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ მარიონეტები სპექტაკლებიდან: • მოლიერის “მიზანთროპი” • ბიბლიის “მეფეთა ცხოვრება”. აღნიშნული სპექტაკლები, მისი ხელმძღვანელობით, 1984-1992 წლებში იდგმებოდა თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის მარიონეტების ექსპერიმენტალურ თეატრში. საგამოფენო სივრცის მეორე დარბაზი დაეთმობა აბსტრაქტულ კალიგრაფიული კომპოზიციებს; “ყველაზე ლამაზი ხაზი ისაა, რომელიც არაფერს არ გამოსახავს … თუ არ გამოხატავს … ან თითქოს არ გამოსახავს, მაგრამ იხელთებს უმთავრესს… თვითონ ხდება რაღაც ახალი ენა…” გრაფიკოსი, კალიგრაფიისა და თოჯინების ოსტატი: ბაჩანა ხალვაში, დიზაინერი: ლუკა

გოცირიძე, გამოფენის კურატორები: თამთა ახალკაცი, თიკო საჩალელი, ლალუ ხოსიტაშვილი, თოჯინების ფოტოების სერია: ჯუდა-ხატია ფსუტური.

11. კიდევ ერთი სასიხარულო და საამაყო ამბავი ზუგდიდის დადიანების სასახლიდან. თქვენს წინაშეა უნიკალური მოოქრული სიწმინდეების ლუსკუმა, რომელსაც საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟით და საქართველოში ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით რესტავრაცია ჩაუტარდა. ძვირფასი რელიკვია რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეუსაბამო პირობებში ინახებოდა და მუზეუმის ახალმა ადმინისტრაციამ ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად ამ სიწმინდის მოვლა და სათანადო პირობებში დაცვა დაისახა. სწორედ ამ მიზნით მუზეუმის დირექტორის დავით ოყუჯავას და ეთნოგრაფიის ფონდის მცველის ლალი ჭითანავას ინიციატივითა და აქტიური ხელშეწყობით უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სამუზეუმო ნივთი ხელოვნების სასახლეს საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისათვის გადაეცა. რესტავრაციის პროცესში რესტავრატორმა ანდრეი ნაზარენკომ სრულად გაწმინდა და აღადგინა ლუსკუმის მოოქრული ზედაპირი, გაამაგრა ძვირფასი მხატვრობა,მოოქროვება, ხის გრავირების დეტალები და ა.შ. ლუსკუმა სამეგრელოში დადიანებისათვის კიევო პეჩორის ლავრიდან უნდა გამოეგზავნათ, მასში სხვა სიწმინდეებთან ერთად წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილები დღემდეა დაცული... სიწმინდე ზუგდიდის დადიანების სასახლეს უკვე დაუბრუნდა, მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულია ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე გერასიმე.

12. თქვენს წინაშეა უნიკალური ექსპონატი: პრინცესა სალომე დადიანი მიურატის რელიკვარიუმი: ხის შესანიშნავი კარადა სადაც სამეგრელოს მთავრის ასული ძვირფას ნივთებს ინახავდა. ეს ექსპონატი 6 თვის წინ უმძიმეს მდგომარეობაში წამოღებულ იქნა ზუგდიდიდან, დაშლილი, ჭიებისაგან შეჭმული, სინესტესა და სიბნელეში "შენახულს" დამპალი ჰქონდა ხის საფუძველი, დაკარგული იყო მისი ქვედა ნაწილი და ამ უკანასკნელის იერსახე მხოლოდ აკაკი ჭანტურიას არქივში შემორჩენილი ფოტოებიდან ვიცოდით, სამწუხარო და სავალალოა რომ ეს ძვირფასი ნივთი სასახლის ნულოვან სართულზე ათეულობით წელი ასეთ მდგომარეობაში ინახებოდა და რომ არა საქართველოს კულტურის სამინისტროს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომხარდაჭერა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს US Embassy Tbilisi ძალისხმევა მისი გადარჩენა რამდენიმე თვეში ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა. ხელოვნების სასახლის რესტავრატორთა ჯგუფმა ირაკლი ზამბახიძის უშუალო ჩართულობით წარმოუდგენელი სამუშაო ჩაატარა, რელიკვარიუმის გადარჩენილ ნაწილს ჩაუტარდა ურთულესი სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაკარგული სადგამის იდენტური კი ფოტოების მიხედვით დამზადდა.

13.კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში საქართველოსადმი მიძღვნილი უპრეცედენტოდ მასშტაბური გამოფენა ,,ოქროს საწმისი - საქართველოს ხელოვნება” გაიხსნა. ექსპოზიცია ევროპელ დამთვარიელებელს საქართველოს მდიდარ კულტურას, ქართული ხელოვნების შედევრებს, ყოფის ამსახველ და საბრძოლო ხელოვნების

გამორჩეულ ნიმუშებს გააცნობს. ასევე ქართული მოდერნიზმის წარმომადგენლების საუკეთესო შემოქმედებასაც. ამ ექსპოზიციაზე პირველად გამოიფინა პოლონეთის სხვადასხვა მუზეუმში დაცული არაერთი ქართული არტეფაქტი. გამოფენაში მონაწილეობს 14 ქართული მუზეუმი როგორც დედაქალაქიდან ასევე, რეგიონებიდან. გამოფენაში ასევე მონაწილეობს მსოფლიო დონის არაერთი მუზეუმი. საქართველოში გამოფენის მომზადებას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი და ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია, რომელიც არის გამოფენის კურატორი. გამოფენას ჰყავს პოლონელი კურატორიც - ცნობილი ბიზანტიოლოგი, პროფესორი მიროსლავ კრუკი. გამოფენა გაგრძელდება 15 სექტემბრამდე.



14.ხელოვნების სასახლეში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღმოსავლური კოლექციების გამოფენით აღინიშნა და აქვე გაიმართა კატალოგის პრეზენტაციაც, რომლის ავტორიც პროფესორი გიორგი კალანდიაა - “ხელოვნების სასახლე და აღმოსავლური კოლექციები”. გამოფენაზე მუზეუმის მრავალფეროვანი ორიენტალისტური კოლექციის გარდა, რომელიც წარმოადგენს იაპონიას, ჩინეთს, შუამდინარეთს, სპარსეთს, თურქეთს, ავღანეთს, არაბეთს, ინდოეთს, ინდონეზიას, ნეპალს, მონღოლეთს, უზბეკეთს, თურქმენეთს, ასევე, წარმოდგენილია ტექსტილი, ავეჯი, სამკაული, იარაღი, სხვადასხვა ნივთები და საქართველოში ერთადერთი, ლურსმნული დამწერლობით შესრულებული 4000-წლოვანი ფირფიტა, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მუზეუმმა გასულ წელს კერძო პირისგან შეიძინა.

15. 27 მაისს, საქართველოს ხელოვნების სასახლის საკონფერენციო სივრცეში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "სამეგრელო-რეგიონის წარსული და კულტურის ისტორია" გაიმართა საჯარო ლექციების ციკლი. მომხსენებლები: იზოლდა მელიქიშვილი - ხელოვნების სასახლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

▪"სამეგრელოს ხალხური რეწვის ისტორიისათვის, ლითონის მხატვრული დამუშავება" ნინო ჩიხლაძე - საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პროფესორი

▪ "შუა საუკუნეების სამეგრელოს ძეგლების მოხატულობათა მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა"

▪ "ცაიშის ეკლესიის მოხატულობები და მათი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა" მარიამ კიკვაძე - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი

▪"ლაპიდარული წარწერები-მათი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევებისთვის"

▪ "მარტვილის ტაძრის საფლავის ქვა"

16. 29 მაისს, საქართველოს ხელოვნების სასახლის საკონფერენციო სივრცეში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "სამეგრელო-რეგიონის წარსული და კულტურის ისტორია" გაიმართა საჯარო ლექცია მომხსენებელი: იზოლდა მელიქიშვილი - ხელოვნების სასახლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

▪"სამეგრელოს რეგიონის ტექსტილის ისტორიისათვის"

17. საქართველოს ხელოვნების სასახლე მორიგი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა. კულტურის ისტორიის მუზეუმს მოგზაურთა ყველაზე პრესტიჟული ჯილდო „მოგზაურთა არჩევანი" (Travelers' Choice) გადაეცა. ეს საერთაშორისო პრიზი მსოფლიოს ყველაზე დიდი სამოგზაურო ამერიკული საიტის Tripadvisor-ის მიერაა დაწესებული და წელიწადში ერთხელ გაიცემა. „მოგზაურთა არჩევანი" ეს არის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული- „ხარისხის სერტიფიკატი", რომელიც ენიჭებათ ორგანიზაციებს დამთვალიერებელთა და მოგზაურთა შთაბეჭდილებების საფუძველზე. „მოგზაურთა არჩევანის" ლაურეატები შედიან მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროების, რესტორნებისა და ღირსშესანიშნაობების იმ

10 პროცენტში რომლებმაც სტუმართმოყვარეობის ყველაზე მაღალი ხარისხი გამოავლინეს



18. იული სტრაუმე - 2024 წლის 2 ივლისს საქართველოს ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმი აღნიშნავს აღნიშნავს იული სტრაუმეს 150 წლის იუბილეს. ამ თარიღთან დაკავშირებით მუზეუმის ეზოში გაიხსნა იული სტრაუმეს ბიუსტი.საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ედიტე მედნესმა ანსამბლ „დიდგორის“ მიერ შესრულებული მრავალჟამიერის თანხლებით იული სტრაუმეს ბიუსტი საზეიმოდ გახსნეს. ბიუსტი, რომელიც მუზეუმის სკვერში, იული სტრაუმეს კორპუსის წინ, განთავსდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ხელოვნების სასახლის დაფინანსებით შეიქმნა. ძეგლის ავტორია მოქანდაკე კახა არუნაშვილი. სასახლის ისტორიულ ნაწილში კი გამოიფინა სტრაუმეს მოღაწეობასთან დაკავშირებული კოლექცია, სადაც წარმოდგენილია ხელოვნების სასახლის, ლატვიის მუნციპალიტეტის გულბენეს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმისა და დრუვიენას ძველი სკოლა-მუზეუმების ექსპონანტები. აღნიშნული გამოფენა გაგრძელდება 19 ივლისამდე. 20 ივლისიდან ლატვიის მუნციპალიტეტის გულბენეს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმისა და დრუვიენას ძველი სკოლა-მუზეუმების ექსპონანტები მოიხსნება ექსპოზიციიდან და მხოლოდ გამოდენილი იქნება ხელოვნების სასახლეში დაცული სტრაუმეს შემოქმედებასთან დაკავშირებული. ზემოთხსენებული გამოფენა კი 2 სექტემბრამდე გაგრძელდება. ასევე კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა იული სტრაუმესადმი მიძღვნილი კრებული.

19. სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ავტორიტეტული სამეცნიერო ორგანიზაცია „აზიის სამეფო საზოგადოება“ ხელოვნების სასახლეში გამართულ გამოფენას საგანგებო პუბლიკაციას უძღვნის. აზიის სამეფო საზოგადოების მთავარი პრიორიტეტი ორიენტალისტური სამეცნიერო კვლევებია, ორგანიზაციის წევრები მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები არიან. ორგანიზაციის *ვებ* გვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში დეტალურადაა განხილული საქართველოს ხელოვნების სასახლეში გამართული გამოფენა, ექსპონატების რაობა, აღწერილია მუზეუმის დამაარსებლის დავით არსენიშვილი როლი ორიენტალისტური კოლექციების შექმნის საქმეში, საქართველოს კულტურის სამინისტროს წვლილი ახალი ექსპონატების შეძენისა და გამოფენის მოწყობის საქმეში. პუბლიკაციის მკითხველებს ასევე საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ საქართველოს ხელოვნების სასახლის ორიენტალისტური კოლექციებისადმი მიძღვნილი კატალოგი და „საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების“ *ვებ* გვერდი.

იხილეთ ბმული:
https://royalasiaticsociety.org/unveiling-the-oriental-art-treasures-the-premiere-by-the-royal-asiatic-society-of-georgia/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR26nzgoZgO8mmjTIUx7_PFYnqBMC3GhLldAoJDoAoslszQyoMcxTbUUfz0_aem_oImgGb7WIVpcCIXzRBcFdw

20. ასევე გვყავდნენ სტუმრები პროფესორები მელბურნის უნივერსტეტიდან: ანდრეი ჯამიერსონ (Dr Andrew Jamieson, The School of Historical and Philosophical Studies) და სტივ მარტინი (Steve Martin, Arts Teaching Innovation (ATI) Collections Manager). შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს ელჩი ავსტრალიაში ბატონი ბექა დვალი და პროფესორი ალექსანდრე მიქაბერიძე. სასახლეში ვიზიტმა ორივე მხარისათვის საინტერესოდ ჩაიარა.

21. განსაკუთრებული ემოციების გასაცოცხლებლად და უნიკალური ქართული ანიმაციის უკვდავსაყოფად, საქართველოს ხელოვნების სასახლემ, Rakuten Viber-თან თანამშრომლობით, უნიკალური სტიკერების ნაკრები - „უკვდავი ქართული ანიმაცია“ წარადგინა, რომელიც ქართული საკულტო ანიმაციის ყველასთვის საყვარელ პერსონაჟებს ეძღვნება.

22. 7 სექტემბერს, 17:00 სათზე ხელოვნების სასახლემ ახალგზარდა ქართველი ფერმწერის, ალექსანდრე ვაშაყმაძის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.

ალექსანდრე ვაშაყმაძე ახალგაზრდა ქართველი ფერმწერია, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს ევროპის არაერთ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა პრესტიჟულ გამოფენებსა და ფესტივალებში იღებს მონაწილეობას. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ იგი ხელოვნების სამყაროს აქტიური მოღვაწეა. ხელოვანის შთამბეჭდავი პორთფელიო მოიცავს არაერთ საინტერესო გამოფენასა თუ ჯილდოს: სამგზის მიწვეულ იქნა ფლორენციის ბიენალზე, ჰქონდა გამოფენა ლუვრის მუზეუმში, განსაკუთრებული ხელწერითა და ფერების ოსტატური შეზავების დამსახურებით შეძლო დაეინტერესებინა ამსტერდამის ვან გოგის მუზეუმი, სადაც სოციალურ პლატფორმებზე პოპულარიზაცია გაუწიეს მის ნამუშევრებს. მიწვეულ იქნა ლონდონის, ნიუ ორკისა და იტალიის სხვადასხვა პრესტიჟულ გალერეებსა და მუზეუმებში. მისი ნამუშევრები ინახება კანადის ოქროს კომპანიის Yamana Goldi-ს, პირად კოლექციაში, მისმა შემოქმედებამ ასევე შთააგონა ამერიკელი პოეტი, მწერალი - Dean C Garden, რომელმაც 10 მდე წიგნი გამოსცა მისი ნამუშევრებით გაფორმებული.

„ექსოდეს გამოსვლა“



ხელოვნების სასახლე ART PALACE OF GEORGIA

ალექსანდრე ვაშაყმაძის პერსონალური გამოფენა

7.09-15.09.2024

ხელოვნების სასახლე
The Art Palace of Georgia

კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE
AND SPORT OF GEORGIA

23. მუზეუმელთა ალიანსის მესამე ყრილობა შალვა ამირანაშვილის იუბილეს მიეძღვნა და წარმატებით ჩატარდა

მუზეუმელთა ალიანსი, რომელიც უკვე მესამე წელია ტარდება, წელს შალვა ამირანაშვილის იუბილეს მიეძღვნა.

მუზეუმელთა ალიანსმა წელსაც საუკეთესო მუზეუმელები დააჯილდოვა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, საქართველოს მუზეუმელთა ალიანსის წევრები და დელეგატები ესწრებოდნენ.

2024 წლის საუკეთესო მუზეუმელები არიან:

● თინათინ სოსანიძე - სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის ძვირფასეულის სექტორის კურატორი, მრჩეველ-კონსულტანტი;

● როლანდ ისაკაძე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი;

● ჯუმბერ კოპალიანი - დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში შალვა ამირანაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმის და ეთნოგრაფიული მუზეუმში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების ამსახველი ჩვენება გაიმართა. ცერემონია საზეიმოდ ეთნოგრაფიული მუზეუმის ანსამბლების - „დიდგორისა“ და სამეფო ნაციონალურ ბალეტ „ფოცხიშვილების“ - კონცერტით დაიხურა.

24. სექტემბრის თვეში, კრაკოვიდან ასევე დაბრუნდა საქართველოსადმი მიძღვნილი უპრეცედენტოდ მასშტაბური გამოფენა ,,ოქრის საწმისი - საქართველოს ხელოვნება“. ექსპოზიცია ევროპელ დამთვარიელებლებს საქართველოს მდიდარ კულტურას, ქართული ხელოვნების შედევრებს, ყოფის ამსახველ და საბრძოლო ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშევს აცნობდა. ასევე ქართული მოდერნიზმის წარმომადგენლების საუკეთესო შემოქმედებასაც. აქვე, აღსანიშნავია დამთვარიელებელთა განსაკუთრებული ინტერესი და აღფრთოვანება გამოფენისა და ექსპონანტების მიმართ. საქართველოში წარმატებით დაბრუნდა: საქართველოს სასახლის, დადიანების სასახლიდა და არჩილ გელოვანის კოლექციები.

25. 21 სექტემბერს, 18:00 საათზე ხელოვნების სასახლეში ჯოვანი ვეფხვაძის პერსონალური გამოფენა გაიმართა, რომელიც მხატვრის 75 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ავტორის 30-ზე მეტი ფერწერული ნამუშევარი. გამოფენა 29 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდა. ჯოვანი ვეფხვაძე წარმოადგენდა ვეფხვაძეების მხატვართა დინასტიის მესამე თაობას, რომლის შემოქმედება და ცხოვრება გაჯერებული იყო ძველი თბილისისა და იტალიის სიყვარულით. 1973 წლიდან იღებდა მონაწილეობას როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში.

26. 3 ოქტომბერს 19:00 სათძე ხელოვნების სასახლეში გაიმართა ნიკო კუხალეიშვილის პერსონალური გამოფენა. 2017 წელს მონაწილეობა მიიღო პლეინერში, რომელიც სხვადასხვა მხატვრების მონაწილეობით გაიმართა. სწორედ ეს გახდა მისი შთაგონების წყარო არქიტექტორული პეიზაჟების მოხატვისათვის. შემდეგი პლეინერი სამეგრელოში გაიმართა 3 თვის განმავლობაში. მხატვრის გამოფენა "ფერწერა აქცენტით" 2019 წელს ნოვოსიბირსკის მუზეუმში გამართა. 2019 წლიდან 2022 წლამდე მონაწილეობა მიიღო არა ერთ რეგიონულ გამოფენაში.

2023 წელს კი მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა "ჩემი მარშუტები", ამავე წელს დაიწყო ქუჩების პლენარულ მოხატვაზე აქტიური მუშაობა. მხატვარი ამჟამადაც აგრძელებს საყვარელ საქმიანობას.

27. საქართველოს ფოსტამ მსახიობ ოთარ კობერიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მარკა გამოსცა. პრეზენტაცია ხელოვნების სასახლეში 10 ოქტომბერს გაიმართა, სადაც საიუბილეო მარკასთან ერთად, მსახიობის ცხოვრებისა და

შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია გამოიფინა. ღონისძიებაზე, საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა, მუზეუმს, იუბილესადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის პირველი ეგზემპლარი გადასცა.

28. 17 ოქტომბერს, 19:00 საათზე საქართველოს ხელოვნების სასახლეში ქართველი მოდერნისტისა და თეატრალური მხატვრის, ირაკლი მდივნის, გამოფენისა და კატალოგის პრეზენტაციაზე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ირაკლი მდივანი გამორჩეული ქართველი მხატვარია, რომლის თაობაზეც არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვისაც დიდი ხანის განმავლობაში არაფერი იყო ცნობილი. მის მიერ შექმნილ ნამუშევრებში კარგად ჩანს მხატვრის მოდერნისტული მისწრაფებები, რაც ქართულ მხატვრობაში გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების შემდგომ, ფაქტობრივად, შეწყდა.

29. 9 ნოემბერს, 18:00 საათზე, საქართველოს ხელოვნების სასახლეში მოყვარული მხატვრის, სალომე კურტანიძის პირველი პერსონალური გამოფენა „სამი ჯადოსნური სურვილი“ გაიმართა. გამოფენის სახელიც და იდეაც ჯადოსნურ აზრს ატარებს, ჩაიფიქრეთ და აგიხდებათ, სოწრედ ეს იყო მხატვრის ჩანაფიქრი.

30. 25 ნოემბერს, 19:00 საათზე საქართველოს ხელოვნების სასახლეში მხატვარი, ფერმწერი, ილუსტრატორისა და არა ერთი წიგნისა თუ ხელნაკეთი კოსტიუმების ავტორის ოლესია (ლესა) თავაძის პერსონალურ გამოფენაზე გაიმართა. გამოფენაზე ნახავთ არა ერთ ილუსტრაციას, ჩანახატსა თუ ნახატს, რომელიც ჯადოსნურ სამყაროში გამოგზაურებთ.

31. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი უკვე არაერთი წელია აქტიურად ცდილობს ეროვნული სამუზეუმო კოლექციების შევსებას, სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხელოვნების სასახლის კოლექციებს 2024 წ. არაჩვეულებრივი ექსპოზიციები შეემატა, ესენია - მიხაილ ზიჩს ქალის პორტრეტი, ფელიქს ვარლამიშვილის კომპოზიცია, ელენე ახვლედიანის კომპოზიცია, ლადო გუდიაშვილის „აგრონავტები“, ოთარ ჯიშკარიანის 22 აფიშა, ორიგინალი, ტიციანის „La Bella”, Jacob Campo Weyerman-ის „A vase with flowers in a niche” და მე -16 საუკუნის დასაწყისის ორი ვენეციური ნახატი წმინდანთა და მოციქულთა პანელებით “Saints and Apostles” და სხვ.

32. ფონდების შევსების მონაცემების მიხედვით, 2024 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში სულ შემოსულია 4125 ერთეული. (ტექსტილი, ფოტო, აფიშა, ჭურჭელი, ავეჯი,

ინსტრუმენტი და სხვა), აქედან შეძენილია - 189 ერთეული, უსასყიდლოდ გადმოცემულია - 3936 ერთეული. რესტავრირებულია - 256 ერთეული (გრაფ. ნახატი, აფიშა, ფერწერა, დოკუმენტი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში).